მერების შეთანხმება

„მერების შეთანხმება“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც სათავეს იღებს 2008 წლიდან და აერთიანებს ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ხელისუფლებების მმართველობებს ნებაყოფლობით განახორციელონ ევროკავშირის კლიმატისა და მდგრადი ენეგეტიკული პოლიტიკის ამოცანები. შეთანხმების ხელმომწერი ქალაქი/მუნიციპალიტეტი ვალდებულებას იღებს, მის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიაზე ენერგოეფექტურობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების საშუალებით 2020-30 წლისთვის 20-30%-ით შეამციროს სათბური აირების (CO2) ემისია.

საქართველოში მერების შეთანმების ხელმომწერი 23 მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქია

თბილისი ჩუსთავი ბათუმი ქუთაისი ფოთი
გორი ზუგდიდი ახალციხე თელავი ბოლნისი
მცხეთა ყაზბეგი თიანეთი ოზურგეთი ჩოხატაური
ლანჩხუთი ახმეტა გურჯაანი დედოფლისწყარო
ლაგოდეხი საგარეჯო სიღნაღი ყვარელი

თელავის მუნიციპალიტეტი მერების შეთანხმების ინიციატივას მიუერთდა 2014 წ. და მის მიერ შემუშავებული **‘მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა’**, ითვალისწინებს 2020 წლამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათბურის აირების 20%-ით შემცირებას კონკრეტული განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა შენობები, ტრანსპორტი, გარე განათება, გამწვანება, და ა.შ.

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Energy

EEC·ECG

Covenant of Mayors for Climate & Energy
Demonstration Projects
Eastern Partnership

„მერების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების განხოციელების მიზნით თელავის მუნიციპალიტეტი არასამთავრობო ორგანიზაცია „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“-სთან პარტნიორობით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს

ბიომასის ენერგია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების ხელმომწერი ქალაქებისთვის

პროექტის ფარგლებში

⇒ განხორციელდება ორი (2) საზოგადოებრივი შენობის სრული თერმო - მოდერნიზაცია განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით;

⇒ ორ საზოგადოებრივ შენობაში დამონტაჟდება ბიომასაზე (წალამზე) მომუშავე თანამედროვე ავტონომიური გათბობის სისტემა;

⇒ -განახლებადი ენერგიის წყაროებისა და ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდება სხვადასხვა საინფორმაციო და შემეცნებითი ღონისძიებებს საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობით.

მდგრადი ენერგეტიკის კვირეული

მერების შეთანხმების ვალდებულების ფარლებში უმნიშვნელოვანესია ცნობიერების ამაღლების კამპანია; ამ მიზნით კი შეთანხმების ხელმომწერ ქალაქებში როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება „მდგრადი ენერგეტიკის კვირეული“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის განვითარებას და ამ მიზნით, შეახსენოს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის როგორც გლობალური, ასევე ლოკალური ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შერბილების პოტენციალი.

„მდგრადი ენერგეტიკის კვირეული, 2018“ წლის გზავნილია:

გახდი ღიდური სუფთა ენერგიის წარმოებაში!